ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 002716

შედგენის თარიღი: 24.08.2017 წელი

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში. (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

მითითება გაცემული იყო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" — მუხლის — ნაწილის — პუნქტით.

გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დგება 2017წ. 27 აგვ.

გაცემული №: 002716 მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „ჯანსაღი ვაჭარი" ს/კ 400166529
ქალ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა/მ III მასივი, კვ-ლი 19, კ. 19

ობიექტის დასახელება და მისამართი: მშენებარე 1-ბინიანი საცხოვრებელი სახლი
საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისში, ფერმერთა კოოპერატივ „ნიაღვრის" ტერიტორიაზე (ს/კ 01.10.75.008.048) შემოწმების მოქმედი
მშენებლობის ეტაპი: მშენებარე

შემოწმებით დადგინდა:

შპს „ჯანსაღი ვაჭარი" მიერ №002716 მითითება გათვალისწინებულ
ვადაში და იქნა შესრულებული.
შემოწმების აქტი შედგა მითითებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის
№10/011722352303-17 23.08.2017 წ. გასვლის საფუძველზე.

რითაც დგინდება, რომ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად სრულდება.

შემოწმების აქტის საფუძველზე, თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;

ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;

გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-8 ნაწილი);

თუ დარღვევა გამოსწორებულია, საქმის განხილვას გამოყენებული სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხველი გარემოებები, პროექტის შემოსხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ ან არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ. (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი)

თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა აღმოფხვრილი იქნა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ხოლო სამართალდარღვევაზე დაწესებული ჯარიმება უნდა შეწყდეს (პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის" კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

შემოწმების აქტის შემადგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

თუ ვერ ხერხდება დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყებების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვლის მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

_____

_____ განთავსების თარიღი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ა-ს/დ 1145-17

24 · 08 2017 წ.

დადგენილება №002716
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

24.08.2017წ. ქ. თბილისი, გ. შარტავას ქუჩა №7

მე, სამსახურის უფროსმა გიორგი უკლებამ განვიხილე 2017 წლის 27 ივლისის №002716 მითითება და 2017 წლის 24 აგვისტოს №002716 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. „ჯი ხი დი ჯგუფი"-ს (ს/კ №400166529; მის: ქ. თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, III მ/რ, I კვარტალი, კორპუსი №14, ბინა №19) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დელისის ქუჩა №3-ში (ს/კ №01.10.15.006.048), შ.პ.ს. „ჯი ხი დი ჯგუფი"-ს მიერ, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოპირკეთება (შელესვა, შეღებვა) და სამშენებლო ამწის განთავსება, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 24 დეკემბრის №1056913 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ვადის გასვლის შემდგომ (მშენებლობის ვადა განსაზღვრული იყო 2013 წლის 24 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით).

სამსახურის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2017 წლის 27 ივლისს შედგენილ იქნა მითითება №002716, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 30 დღიანი ვადა მიმდინარე სამუშაოებისა და სამშენებლო ამწის (ან სამშენებლო ამწის დემონტაჟის განსახორციელებლად, უსაფრთხოების წესების დაცვით) კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

2017 წლის 24 აგვისტოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა №002716 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა. საქმეშია მხარის, 2017 წლის 23 აგვისტოს, №10/01172352303-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ჯი ხი დი ჯგუფი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, დელისის ქუჩა №3-ში (ს/კ №01.10.15.006.048), განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოპირკეთება (შელესვა, შეღებვა) და სამშენებლო ამწის განთავსება, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის

არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 24 დეკემბრის №1056913 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ვადის გასვლის შემდგომ (მშენებლობის ვადა განსაზღვრული იყო 2013 წლის 24 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით).

ვინაიდან, რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ე" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით **დავადგინე:**

1. შპს „ჯი სი დი ჯგუფი" დაკარიშვილს 8000 (რვაათასი) ლარით, ქ. თბილისში, დელისის ქუჩა №3-ში (ს/კ №01.10.15.006.048), შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე (ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.კ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 24 დეკემბრის №1056913 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ვადის გასვლის შემდგომ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოპირკეთებისათვის (შელესვა, შეღებვა) და სამშენებლო ამწის განთავსებისათვის;

2. შპს „ჯი სი დი ჯგუფი"-ს დაევალოს, ქ. თბილისში, დელისის ქუჩა №3-ში (ს/კ №01.10.15.006.048), უნებართვოდ (ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.კ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 24 დეკემბრის №1056913 ბრძანებით განსაზღვრული მშენებლობის ვადის გასვლის შემდგომ) განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟი;

3. შპს „ჯი სი დი ჯგუფი"-ს დაევალოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადახადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების** დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების** ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შპს „ჯი სი დი ჯგუფი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოებზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საშტაბეის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაუკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /გამოგზავნიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი

გ. უკლება


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017


26.08.2017